

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის ფარგლები
საქართველოში

დიანა ჩუბინიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წაროდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ნარმანია (სამართლის მაგისტრი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მითითებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დიანა ჩუბინიშვილი _____თარიღი _____

აბსტრაქტი

გლობალიზაციის პროცესი, ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავება, საზღვრებზე პირთა თავისუფალი გადაადგილება, საეთაშორისო ვაჭრობის განვითარება, ეს იმ მიზეზების მოკლე ჩამონათვალია, რაც სხვადასხვა ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის დავების რიცხვს დღითიდღე ზრდის. ხშირია შემთხვევა, როდესაც სამართალწარმოების პროცესი ერთ ქვეყანაში მიმდინარეობს, გადაწყვეტილების ცნობა კი მეორე ქვეყანაში ხდება. მაშინ, როდესაც სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივ სისტემებს შორის სხვაობა დიდია, გადაწყვეტილების ცნობის პროცესი არც ისე მარტივია. რაც შეეხება საქართველოს, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობასთან დაკავშირებით საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემებია სახეზე - როგორც კანონმდებლობაში, ასევე პრაქტიკაში. ნაშრომში განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შესახებაც კანონმდებლობა ცალსახა პასუხს არ იძლევა. განისაზღვრება, თუ რა იგულისხმება საქართველოში „ცნობაუნარიან გადაწყვეტილებაში“; გაირკვევა, თუ რამდენად შესაძლებელია უცხო ქვეყანაში მიმდინარე სამართალწარმოებისას საქართველოს სასამართლომ მიიღოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონიძიების შესახებ განჩინება; ასევე, განიხილება საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის დადგენის საკითხები და მათთან დაკავშირებულ ტერმინთა შეუსაბამობა; განისაზღვრება, თუ რა ფარგლებში ხდება საქართველოში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, ანუ რა პროცესუალურ-სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი შედეგები დგება სახეზე; ასევე, განიხილება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები და ამ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გადაწყვეტილება, სარჩელის უზრუნველყოფა, ცნობა

Abstract

The process of globalization, deepening the relationship among states, free movement of people through the borders, development of international trade illustrate the minimum of those reasons which increase the disputes among natural and legal persons day by day. It occurs frequently, that the proceedings and recognition and enforcement of the decision take place in different states. When the difference among states is huge, the process of recognition is not a simple one. Particularly, in Georgia, the recognition of court decisions raises very important problems in law, as well as in practice. The paper discusses those important issues for which law does not provide definite answers. As soon as the essence of “recognizable decision” is determined, it will be possible to decide on the usage of provisional measures in processes ongoing in different states. Also, the paper discusses the issues of determining the international competence of Georgian courts and the inconsistency of the relevant terminology. It will also determine the scope in which the recognition of the decisions of foreign state courts take place. It implies the consequences from the perspective of judicial procedure and the material law as well. The paper also discusses the pre-conditions for the refusal of recognition of the decision of foreign state courts and the relevant problems.

Key words:Judgment, Freezing Injunction, Recognition